დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების

შესყიდვის შესახებ №7/13

ქ. თბილისი

25 თებერვალი 2013 წ.

ერთის მხრივ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის, გიორგი შონვაძის სახით და მეორეს მხრივ, სს "Digital Kitchen Studio", (შემდგომში – „შემსრულებელი“), მისი დირექტორის გიორგი თავართქილაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების „პრომეთეს მღვიმე"-ს ამსახველი არანაკლებ 30 წმ. ხანგრძლივობის 3D ფორმატის ვიდეოფილმის დამზადების (CPV92110000 – ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები) მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.3. შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2. ფილმის დამზადების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

2.3. შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

3. მასალის მიწოდების ვადები და პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2013 წლის 11 მარტისა.
3.2. „შემსრულებელმა" უნდა გადასცეს „დამკვეთს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ელ. ვერსია 2 კომპაქტ დისკზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსრულებლის“ მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
4.2. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, „დამკვეთი“ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს შემსრულებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.
4.3. „შემსრულებელმა“ „დამკვეთს“ უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.5 „დამკვეთი“-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევის შედეგად ხელშეკრულების 4.3. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მათი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსრულებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს „დამკვეთი“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;

6.1.2. „დამკვეთს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

6.1.3. უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);

6.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.1.6. გაუწიოს „დამკვეთს“ ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე სრული და სარეკლამო ბაზარზე არსებული სტანდარტების შესაბამისი მომსახურება.

6.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

6.2.2. დროულად განიხილოს „შემსრულებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.2.4. მიაწოდოს „შემსრულებელს“ სარეკლამო მასალა ისეთი ფორმით, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად;

6.2.5. მიწოდოს „შემსრულებელს“ მხოლოდ იმგვარი შინაარსის რეკლამა, რომელიც შესაბამისობაშია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონთან და სხვა საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტებთან.

7. მხარეთა უფლება

7.1. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;

7.1.2. დასაბუთებული უარი განუცხადოს „დამკვეთს“ ისეთი მომსახურების გაწევაზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „რეკლამის“ შესახებ და სხვა საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტებს;

7.1.3. უარი განუცხადოს „დამკვეთს“ ისეთი მომსახურების გაწევაზე, რომელთა განხორციელებაც არსებითად ეწინააღმდეგება იმ პირთა ინტერესებს, რომლებიც აგრეთვე ითვლებიან „შემსრულებლის“ დამკვეთებად ან წარმოადგენენ ბეჭდვით მედია საშუალებას;

7.1.4. თუ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაკავშირებულია განსაკუთრებული სირთულისა და მოცულობის მქონე სამუშაოთა შესრულებასთან, რაც მოითხოვს დიდ მატერიალურ ან/და შრომით რესურსებს, „დამკვეთს“ მოსთხოვოს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება.

7.2. „დამკვეთს“ უფლება აქვს:

7.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;

7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთისა ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი)დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, შემსრულებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულების 5. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს შემსრულებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.4 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, ბრალეული მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

13.1. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განხორციელებული და/ან განსახორციელებელი მომსახურების ან საქონლის ხარისხის კონტროლს.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას სააგენტოს მხრიდან, განახორციელებს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 25 მარტის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

16.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთა"; ერთი ეგზემპლარი „დამკვეთთან".

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"	სს "Digital Kitchen Studio"
ქ. თბილისი გულუას ქ. №6	თბილისი, ახოსპირელის III ჩიხი №5
ტელ: 995 32 2752352	ს/კ: 404424814
ს.კ: 204911337	მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	ა/ა: GE25 TB79 7453 6080 1000 01
სახაზინო კოდი: 220101222	
ა/ა: 200122900	
_____	_____
გიორგი შონვაძე	გიორგი თავართქილაძე
თავმჯდომარე	დირექტორი